

1940

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

# ქტომბერი



№ 8

1940

# ოქტომბრული

წელიწადი მიცამება

აპკისკო № 8

1940 წ.

გამომცემლობა „კომუნისტი“

რედაქ. მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ., № 34  
ტელ. № 3-02-61

საბარტმელოს ა. ლ. კ. კ. ციკას და საბ. განსახკომის მკთმთვიური ორბანო  
„Октомбреди“ журнал Центрального Комитета ЛКСМ Гр. и Наркомпроса Грузии.

## შეღტ შინაარსი

	89.
✓ 1. ილია სიხარულშიმ—პაწია ოსტატები (ლექსი) . . . . .	1
✓ 2. ლივან მბტრმეღლი—გადმოდღლი მარგალიტო (მოთბრობა) . . . . .	2
✓ 3. ილო მოსაშვილი—კიენას თავგადასავალი (პოემა) . . . . .	4
✓ 4. გიორბი კაშხანიმ—ზღვა (ლექსი) . . . . .	6
5. ალ. მავულაშვილი—თუშური ქუდი (ნარკვევი) . . . . .	7
✓ 6. გიორბი შუჩიშვილი—არ ჩამოგრჩეთ (ლექსი) . . . . .	8
✓ 7. სანდკო ქლენტი—პეერობლანი სოფელში (ლექსი) . . . . .	8
✓ 8. როდირე შორკია—სიღარბზე (ზღაპარი) . . . . .	9
9. ნიკოლო ნაბრღლი—ქუთაისის თეატრი (წერილი) . . . . .	12
10. ვარლამ ძიძიშვილი—აკაკი წერეთელი (მოგონება) . . . . .	14
11. თ. შ-ი—პირელი სპილო რუსეთში (ნარკვევი) . . . . .	15
12. კ. აღამაძე—ახალი წიგნები (წერილი) . . . . .	16
13. ტენწი ბაყაყი—ზღაპარი თარგმანი მანანა ხაზიურისა გარეკანის მე-3 გვ.	
14. თ. შავიგზაშვილი—გაზაფხული (ნოტი) . . . . .	გარეკანის მე-4 გვ.

ფურნალის მბატერობა ეკუთენის — ღონს

პასუხისმგებელი რედაქტორი: ლ. მიწინაძე

გადეცა წარმოებას 3/VII 1940 წ.

ქალღლის ზომა 60×92

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/IX 40 წ.

ფორმბა რაოდენობა 22-გვ. 9<sup>1</sup>/<sub>2</sub>×14

# ჭაწია ოსტატები



აგერ სახლს აშენებენ  
ოსტატები ჰაწია,  
არის ერთი ფუსფუსი,  
ერთი გაწამაწია.

დაიძვალავს ხელმარჯვედ,  
დატრიალდნენ ბიჭები,  
ხე-ტყე ბლომად მოზიდეს—  
ნაძეები და ფიჭეები.

კალატოზებს ქაფჩიანს  
მოუზიდავთ ქვა-კირი,  
საძირკველი ამოჰყავთ  
დულაბით და ქვიტკირით;

ხუროების ყურება,  
უნდა გითხრა, მადლია,  
სწორედ მოგეწონებათ,  
ხეს იმგვარად გათლიან;

ვინ ფიცარს თლის, ვინ რანდავს  
და ვინ აშალაშინებს,  
ბურბუშელა მოცურავს,  
შრიალგებს და შიშინებს;

ვინ ხერხს ხმარობს, ხელეჩოს,  
ვინ ბურღს, სატეხს იმარჯვებს  
და სულ ყველას ეტყობა  
მხნეობა და სიმარჯვე.

— კაკ-კუქ!

— შრი-შრი!

— ხრი-ხრი-ხრი!

რა მწყობრი ხმაურია!  
რა მწყობრად მუშაობენ,  
ერთმაც არ აურია!

სოცშეგვიბრში იწვევენ  
ოსტატები ერთმანეთს,  
საძირკველი მოთავდა,  
კელღები აიყვანეს.

სვეტებიც ჩაამწყრივეს,  
კარ-ფანჯრებიც მზად არი,  
სახლიც დაიხურება,  
სანამ მოვა ზამთარი;

ჩვენი კალატოზები  
წუთსაც არ ისვენებენ,  
სილით, კირით, აგურით  
ლუმელეებს აშენებენ...

მაღე, მაღე, სულ მაღე  
სახლი სულ მოთავდება,  
ოსტატების მხნეობა  
არის ამის თავდებად.

2636



# კამეჩი და ნიკორა

(ნოველა ამოღებულია „ქართლის ლეილა“-ს)

ლიახვი თავის უკანასკნელ გადასარბენზედაც ხმაწყულად მოიმღერის კავკასიონის კლდეებში დაწყებულ გიჟურ ბიათს. ეს ქერომოვერცხილი ვეშაპითი-თქოს თვითონვე ნატრობს თავის დასასრულსო, ისეთი სისწრაფით მიეჩანება მტკვრის მორევებში.

მის გახელეხულ ტალღებში ონავარი კალმახებივით დაბტიან ცურაობაში დაგეშოლი პატარა ბიჭები. დიდი ვერხვებიანი დაპყვებიანი ათასნაირად ჩასაფრებულ ლოდებზე მოხტუნავე ტალღებს. მოდიან ჟივილობივით, ქამანდარობით და თავიანთ ლაშქრობას ამთავრებენ ქვევით, მორევში, სადაც ლომა კამეჩები ნებერად იცოხნებიან.

დღეა დილიდანვე სხვაგან იყო წასული სამუშაოდ. შუადღის შემდეგ დაბრუნდა შინ: ხელაღს, ბავშვი შინ არ არის. სად უნდა იყოს? ან ციხეზე იქნება სათამაშოდ, ან ლიახვზე — საბანაოდ. ჯერ ლიახვისაკენ ამჯობინა წასვლა.

შორიდანვე მოჰქარა ყური თავის ბიჭიკოს წკრილა ხმას. მიუახლოვდა, ვერხვებსა და ვერხვებშუა თვალი შეავლო, მისი ბიჭუნა როგორ შესკიდებოდა რქებზე ერთ ნიკორა კამეჩს. თავს ხან ჩაყოფინებდა მორევში, ხან ამოყოფინებდა. თან კამეჩის გამოსა-

ჯავრებლად მღეროდა:

კამეჩი მყავდა ნიკორა,  
ვაქებდი, არა იყო რა.


სხვა მისი ტალღებიც მეორე კამეჩებს მოსკიდებოდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ აბეზარი ბუზებივით.

ნიკორა კამეჩმა ვეღარ აიტანა თითქოს განგებ შეჩენილი ბიჭიკოს ბლლაძუნი. ნელნელა გასცილდა მორევს. აქ თითქოს ლიახვის ტალღებიც მიეშველნენო და თანისთანობით დაქვეითდა წყლის გაყოლებით. ერთი ხელობა კამეჩმა დააპირა ნაპირზე გასვლა, მაგრამ ზედრზედ შემოტეულმა ტალღებმა დასძლიეს და ისევ გააჟყვა მდინარის ძალას.

ბიჭიკოს რქებიდან წასცდა ხელი და გიჟმა ტალღებმა ალვისხის ნაფო-

ტივით შეათამაშეს. მაგრამ თავის ანაბრად მიტოვებული ბიჭიკო არ დაიბნა და კამეჩის კულზე მოასწრო ხელის წაწლება.

დღემ თვალი შეასწრო შვილის განსაცდელს და გამოეჩანა ნაპირისაკენ. მაგრამ აღარც ლიახვი იცდის, არც მისი მოტაცებული კამეჩი და ბიჭიკო. ისინი უფროლაუფრო აჩქარებით მიეჩანებიან მტკვრის შესართავთან, სადაც ბევრი ცოლადატრიალებულა.



დედამ ჩაქოლა გულის კარი, რომ შემადრწუნებელი წვილ-კვილი არ წამოსცდეს და ისედაც განსაცდელში მყოფი ბავშვი არ შეაშინოს. იგი მუხლებსი კანკალით მისდევს ნაპირს და მტკიცე, დამშვიდებული ხმით შესძახის ბავშვს:

— შეილო, მაგრა მოეჭიდე კულსა, მაგრა! თორემ წყალი მოგვრევა! არ შეშინდე! კამეჩი გამოგიყვანს ნაპირზე!

ამ დროს კამეჩი კიდევაც ჩაქურდა მტკვრისა და ლიახვის დაჭიდებულ ღვართაქეში. აქ უეცრივ წყალმა უყო პირი კამეჩსაც და მის კულზე მოჭიდებულ ბიჭუსაც.

ზარდაცემულმა დედამ სასროლი ბადესავით სტყორცნა მორგეში მთელი თავისი გრძნობა, თავისი ნატვრა, თავისი მუღარა. ლამის თვითონაც გადახტეს ამ მძვინვარე მორგეის შთასანთქავად. მაგრამ წამიერი გაქრობის შემდეგ აგერ ბადიდან გახსლეთილი ქანარივით ტალღების ზურგზე შეითამაშა კამეჩის ცხვირმა. ჩქარა გამოჩნდა მისი ნიკორას თავიც. გამოჩნდა ბავშვის ქოჩორა თავიც.

კამეჩი, აჰა, ასცლა თავმდინარეს და ეხლა ცდილობს გამოინაპიროს. წყალი უკვე მუცელამდის დავიდა. ბიჭიკომაც ფეხი უწია წყლის ძირს და კამეჩის კულს უბრალოდღა ეჭიდებოდა.

დედას უკვე გული საგულეს ჩაუვარდა. მას ეხლა კიდევაც ეუცხოვა თავისი წუთიერი შიში და სასოწარკვეთა. იმას ხომ სჯერა, სჯერა დედის უბიწო და უნაგარო სიყვარულივით, რომ მის შვილს ქულ-ბედი აქვს დაყოლილი და ვერავითარი განსაცდელი ვერ მოერევა. ვერ მოერევა, მაშ, შეერთებული მტკვარი და ლიახვიც.

აგერ კიდევაც გაუწოდა ხელი თავის ბიჭიკოს და ამოიყვანა წყლიდან, კამეჩიც ამოვიდა ნაპირზე, წყალი წანწკარით ჩამოდის გიშრად მობზინავე ტანიდან. იგი ყოყინით ეხმაურება ზევით მიტოვებულ თავის ტოლებს.

დედამ ბიჭიკო ჩაისვა კალთაში და გადაუკოცნა ორი მდინარის წყლით დაღვრიჭნილი სახე.



— შეგეშინდა, შეილო?

— სულაც არა! კამეჩს რა დააღრჩობს წყალში, არა, დედა? მე კი ისე მაგრა მეკიდა ნიკორას კულზე ხელი, ისე მაგრა, რო...

დედამ ქოჩორზე ვაღუსვა ხელი.

— ჩემ კუნწულა ბიჭიკოს ქულ-ბედი აქვს თან დაყოლილი. ის უკამეჩოდაც გაღურჩებოდა. ეს ხომ ეკლაპტარი არ არის, რომ ჩაქრეს, ან ისეთი ვარსკვლავი, რომ მოსწყდეს. ეს ჩემი ჩაუქრობელი მზე და მთვარეა, ენაცვალოს დედაი, მაშ...

და ამაყმა დედამ ითაკილა კიდევ, რომ ერთხელ მაინც სულმოკლედ გაივლო გულში შვილის ბედშობა...

ნიკორა ისევ დგას ერთ ადგილას. წყალი მხოლოდ წვეთებდაღა სცვივა ტანიდან.

ბიჭიკოს თავიდან და ტანიდანაც მოგორავენ წვეთები. თუმცა წვეთები კი არა, ეს მარგალიტის მძივებია, რომ მოგორავენ.

ოჰ, რა უხვად მოგორავენ ეს მარგალიტის მძივები.

და ყველანი ცვივიან მოსიყვარულე დედის კალთაში.

ოჰ, როგორ გაავსებს შვილის მიერ მტკვრიდან და ლიახვიდან მოტანილი მარგალიტები დედის უძღებ კალთას, როგორ!

ამ კალთას ხომ დედის გული უფენია სარჩულად, დედის გული!

ილო მოსაშვილი ქართული საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1915 წ. „სახალხო ვახუთის დამატებაში“, რის შემდეგ ის დაუღალავად ეწევა ფრიად საპატიო ლიტერატურულ მოღვაწეობას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე ილო მოსაშვილი ჩაღმა მოწინავე პოეტების რიგში და მრავალი შესანიშნავი ლექსი შესძინა ქართულ საბჭოთა ლიტერატურას. ამისათვის იგი ღირსეულად დააფასა საბჭოთა მთავრობამ და 1938 წ. სხვა მოწინავე მწერლებთან ერთად დააჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო ქართველმა ხალხმა სხვა რჩეულ შეილებთან ერთად აირჩია საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ილო მოსაშვილი ამავე დროს არის შესანიშნავი საბავშვო მწერალიც. მის კლამს ეკუთვნის საბავშვო წიგნები: „თოლია“, „როზა ჩაფარი“, „ერთად“, „უცნაური ცხოველი“ და სხვა. ამ უკანასკნელ ხანებში მან დაწერა საბავშვო პოემა „კიკნას თავგადასავალი“, რომლის რამდენიმე თავს ვათავსებთ ჩვენს ქურნალში.

„კიკნას თავგადასავალს“ ცალკე წიგნად ცემს საბ-ლიტგამი.

რედაქცია



# კიკნას თავგადასავალი

საბავშვო პოემა



წორწუნა და დედა — თავი  
იმ დღეს დილაადრიანად  
ლობის ძირას სოროს თხრიდნენ,  
თან თხილს ჰამდნენ მადიანად.  
შრომა ლეკვართ, მაგრამ რა ჰნან,  
თხილის გულიც უყვართ ხილად,  
რაც ხილია ქვეყანაზე,  
ნეტავ ყველა იქცეს თხილად:  
დასხდებიან დედა-შვილი  
და დაფეკავენ ერთ დღეს ფეკილად.  
ზოგს  
ზამთრისთვის დააწყობენ,  
ზოგს  
შეჭავენ იქვე ტკბილად.  
ნატრობს დედა,  
შვილიც ნატრობს  
(მას სახელია ჰქვია კიკნა),  
სანამ დედა სოროს თხრიდა,  
ათი თხილი გამოშვიგნა.  
მერე უცბად მოიწყინა  
(კიკნა მეტად მწყრომელია),  
დედა ჰკითხავს:

— ყველა მხეცზე  
ავი მხეცი რომელია?  
— კატა, შვილო ნამეტნავად,  
ყვითელი და შავი კატა, —  
ძლივს უთხრა და ელდანაკრავს  
გულის ძგერა მოემატა.  
აკანკილდა,  
აქრუსუნდა,  
თვალის ჩინი გაუშავდა.  
რად ახსენა კიკნამ კატა,  
რომ არ ეთქვა, რა უშავდა?!  
იქვე მიწა და ბალახი  
წაიხურა ნამიანი.  
შიში იყო, თუ თხილს რამე  
შეაყოლო შხამიანი?  
კიკნამ შიში ჯერ არ იცის,  
თუმც დღეილას მუდამ ახლავს, —  
დედა რისთვის წევს და კენესის,  
ვერ მიმხედარა იგი ახლაც.  
თავი წევს და თავს არ იღებს,  
კიკნა კულით ხვეტავს სოროს,  
ხან სკუპს იზამს ავადმყოფზე,

რომ ბუზები მოაშოროს.

— რატომ გდევნის

ფისუნია,

მისთვის

რად მოგიწყენია? —

ეკითხება იგი დედას,

არ ისვენებს,

არ ასვენებს,

ვერ შეატყო, როგორა წუხს,

როცა კატას გაახსენებს.

ამ დროს კატა,

კოტა განზე,

ჩრდილს ეკვროდა

სახლის ბანზე:

ჩიტს ზეგრაფდა განაბული,

უმიზნებდა სამტროდ თათებს,

თითქმის თვლემდა,

თვალს ლულავდა,

არ ამხელდა გულის ნადებს.

უცებ თვალი მოჰკრა სოროს

და სოროსთან გაშლილ თხილებს.

კატა მიხვდა:

ალბათ, თავიცი

იქვე თხილზე სინჯავს კბილებს.

ჩიტს დაესხნა: იგი,

იცის, მიანც გააწიოლებს,

ისკუბა და ელვასავით

ზედ დაეცა თავის თხრილებს.

დედა-თავი წამოეარდა,

თუმც ხიფათი ელის ზეზეც,

სოროს ეცა,

აქაც,

იქაც

შეეფეთა კატის ღეზებს.

მის წინ ხეა,

მიგრამ რა ქნას,—

დაეწევა კატა ხეზეც...

გარბის თავი,

გარბის და თან

კვალდაკარგულ კიქნას ეძებს.

— ეს რა იყო?

რა დამეცა! —

ლობის შიგნით ფიქრობს კიქნა.

კულს დახედა,—

აღარა აქვს.

— ჩემი კუდი რაღა იქნა?

არსად დედა,

კულიც არსად...

რა ქნას,

ეს რას დაემსგავსა?

მიგრამ რა დროს კული არის,

გული უცემს ბულიანად,—

სად იპოვოს,

კიქნას დედა

დაეკარგა კულიანად!

ზის მარტო და თვალს აცეცებს,

თან ეკლები სჩხვლტუნ მწარედ.

ბიჭოს, კატა!

კიქნამ კატას

თვალი მოჰკრა ღობის ვარეთ.

შავი კატა მის კულს სინჯავს,

ხან ძირს აგდებს,

ხან კბილს ჰკიდებს.

შიშით უტყერს:

დახე მსუნავს,

გადასანლა, მგონი, კიდეც!

ახლა ესმის, თუ რა მოხდა,

დედის სიტყვიც ახსოვს კიქნას,

კულს ვინ ჩივის,

ჩქარა, თორემ

თვითონ მასაც გამოშვიგნავს!

ეკლებს ეცა, თუმცა ტანზე

დაეკარგა რბილი ფარჩა,

თვითონ გაძევა სამშვიდობოს,

კატა ღობის იქით დარჩა.

სად იარა,

როგორ მოხდა,—

კიქნა

ერთ დიდ ბაღში მოხვდა.

იქით წყარო მოჩუხჩუხებ,

აქაც წყარო, როგორც სვეტი,

დაეწევა რუს და ხარბად

გადაყლაბა ცივი წვეთი.

როცა გული გაიგრილა,

ბილიკს გაჰყვა დაქვემდებო,

მისეირნობს, მისთვის კარი

არსად არი დაკეტული.

ხეივანში სახლები ღვას

და სახლებში ხედავს მხეცებს.

კატა აქაც არსად იყოს,—

შეშინებულ თვალით ეძებს.

ბუჩქთან შედგა,

სმენად იქცა,

მოეფარა ცისფერ ყვავილს.

თვალწინ კატა

დაეხატა,



ნათლად არჩევს კატის  
ქნაეილს.  
და მოკურცხლა  
სხაპასუპით,  
ხან მალაყით  
და ხან სკუპით.  
გარბის,  
მიხტის,  
ოლონდ ახლაც  
გადაურჩეს კიქნა-  
მსუნავს...



და თვითონაც ვერ გაიგო,  
 შეფეთა რაღაც ბუნავს.  
 რკინა დახვდა — რკინას სძლია,  
 წინ მეორე ბაღე დახვდა,  
 მაინც შეძგრა გალიაში  
 და ბუნავის ქერზე ახტა.  
 მაგრამ ეს რა სასჯელია, —  
 ყველგან კატა უნდა დახვდეს?  
 სიზმარშიც რომ მოეჩვენოს,  
 უნდა იქვე ცხადად ახდეს?  
 »არა,  
 მორჩა, —  
 ფიქრობს კიენა, —  
 დღეიდან არ გავიხსენებ.  
 სულ ამდენი ვლდა-შიში,  
 ერთხელ მაინც დავისვენებ!«  
 ზის კიენა და



წყნარად,  
 დინჯად,  
 თავის ახალ ბინას სინჯავდა,  
 ძირს ჩახვდოდა ვერ მოასწრდა,  
 და გულს ისევ ეცა ელდა.  
 აკახალდა,  
 აცახცახდა.  
 შიშით სუნთქვა გაუძნელდა.  
 ხედავს, მაგრამ რასა ხედავს!  
 უზარმაზარ ყვითელ კატას.  
 ეს რა არის?  
 რამოდენა!  
 ენით როგორ გამოხატავს!  
 იმ კატაზე ასჯერ დიდი,  
 მთელ იმ კატას თათი უგავს,  
 ანათებს და აბრიალებს  
 ორს ვეება თვალის გუფას.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



გიორგი კაჭახიძე

ცა გამკვირვალე, ნათელი  
 დასტკერის ზღვას მოკრძალებით;  
 ვის არ მოხიბლავს ეგ სივრცე,  
 ზღვის ფართო, ლურჯი თვალები.

ტაღლები ტაღლებს მოსდევენ  
 მწყობრად და წყნარი სიცილით,  
 მხესაც ართობს და ახარებს  
 მათი შეხფების ციმციმი.

სად ჩნდება, სად იბადება  
 ტაღლა ამდენი, უღვევი!  
 შევსტკერით, ფრთები გვესხმება,  
 ლხენით გვევება გულები.

მოდინა, მოაქეთ სიამე,  
 ახლოს ვართ, ლამის ვეხებით,  
 ვცელქობთ და ცელქმა ტაღლებმა  
 სულ დაგვისველეს ფეხები.

ბარემ შევეცურდეთ ამ წყალში,  
 რა საბანაო დარია!  
 ზღვა სუნთქავს, სივრცე ვეება  
 ცელქობს და მაინც წყნარია.

მაგრამ გვინახავს ჩვენ მისი  
 მრისხანება და დულილი:  
 გრივალის ფრთებით დამრული  
 ზვირთების მჭაფრი ქუხილი.

გვინახავს მისგან ნავები  
 დარბეული და დვენილი,  
 გვინახავს მასზე ნისლები  
 თაღებდალ გადაფენილი.

დღეს არ წვიმს, აღარც ქარია,  
 რა საბანაო დარია!  
 ზღვა სუნთქავს, სივრცე ვეება  
 ცელქობს და მაინც წყნარია.



# თუშური ქუდი

თუშური ქუდი მოთელილი მატყლიდან არის გაკეთებული, შეღებილია შავად. ის თავის პატარა საფარს წარმოადგენს. მისი ნაპირი სამკეცია, შუა ნაწილი კი ცალპირი. ზევიდან ყაითნით ჯვარდინად ნაკერი და მათ გადაკვეთის წერტილში შავი ნაბღისავე ღილი აქვს. იგი თავისი სიპატარავით მხოლოდ თავის პატარა ნაწილსა ფარავს. ზაფხულის სიცხე-პაპანაქებაში თავისი შავი ფერით მზის მცხუნვარე სხივებს მძლავრად იზიდავს და თავს მეტად ახურებს, ზამთარში კი სიცივისაგან ვერ იფარავს, წვიმით სველდება, ცივდება. გარეშე შემყურე ვაკვირებულა: ნუთუ ქართლ-კახეთში, სადაც ეს ასე გავრცელებულია, უკეთესი ქუდი ვეღარ მოიგონეს? რა საჭიროა ასეთი შეუფერებელი ქუდის ტარება? ამ კითხვაზე ჩვენ წარსული გვიპასუხებს.

დაახლოებით ამ ასიოდე წლის წინათ ომში ჯერ კიდევ ტალიანი თოფები იყო ხმარებაში. იგი ვასატენად ბევრ დროს მოითხოვდა. წინასწარ სახლში გატენილს ბრძოლის დაწყებისას მტერს რო დაახლოდნენ, შემდეგ მხარზე გადაიკიდებდნენ და მის გატენაზე დროს აღარ კარგავდნენ. ომი ფიცხელი იყო, ხმლით ერთიმეორეს დაერეოდნენ ხოლმე. მტრის ხმლისგან რომ თავი დაეცვათ, საჭირო იყო აბჯარი (ჯაჰვის პერანგი და შალვარი) ჩაეცვათ, თავზე ასეთივე ჯაჰვის ქუდი, ანუ ჩაჩქანი დაეხურათ, რომელიც ფოლადის წვრილი მავთულის ერთიმეორეზე გადაბმული რგოლებისგან შედგებოდა. ეს ბაღე ჩამოკიდებული იყო ფოლადის გადმოპირქვავებულ თხელ ლამბაქის დაჩვრტილ ნაპირებზე. ჩაჩქანი წინიდან ახდილი იყო, ჩანდა თვალები, ცხვირი და პირი, დანარჩენი ნაწილები თავისა კი მთლად დაფარული ჰქონდა. თუ მტერი მეომარს ჩაჩქნის ლამბაქზე ხმალს დაარტყამდა, დარტყმის ძალა

მასზე დაკიდებული ფოლადის რგოლებით თავს გადაეცემადა. მკრელი ფოლადის რგოლები ჩასჭრიდნენ კანს და ძვალსაც დაზიანებდნენ, ეს კი უდიდეს ტკივილს აგზნობინებდა. ამის გამო ჩაჩქანოსანი შეიძლება ისე დაზარალებულიყო, რომ დროებით ბრძოლის უნარი დაეკარგა. ამის თავიდან ასაცილებლად და ტკივილის შესანელებლად ჩაჩქანქვეშ თოქალთოს დაგება იყო საჭირო. იგი ნაპირებზე სამკეცი, ანუ განსაკუთრებით სქელი უხნა ყოფილიყო. ეს თოქალთო დიდი ზომისა ვერ იქნებოდა, რომ მთლიანად დაეფარა აღარ შეიძლებოდა, ამიტომაც იგი პატარა იყო, ისეთი სიდიდისა რომ ჩაჩქანის ლამბაქის ნაპირები თავს არ შეეხებოდა. მას შუაში სისქე არ ესაჭიროებოდა, ხმლის დარტყმის ძალა ყოველთვის ნაპირებს გადაეცემა ხოლმე. ასეთ თოქალთოდ თუშური ქუდი ყოფილა გამოყენებული. თუშური ქუდი უპირველესად იმიტომ ჰქვია. რომ იგი თუშური მატყლისაგან არის დამზადებული, მეორეც იმიტომ, რომ მისი ხმარება პირველად თუშებს დაუწყიათ. თუშები მომთაბარე ხალხია, ზამთარ ზაფხულში, ღღე და ღამე კარში არიან. ათასი მტერი ჰყავდა მათ საქონელს. თუში ყოველთვის განსაცდელში იყო, ყოველთვის ხიფათს ელოდა. ამიტომაც მტრის დასახვედრად ყოველთვისავე გამოზადებული იყო. ჩაჩქანის ქვეშ საგები ყოველთვის თავზე ედო. შემდეგ ქართლ-კახეთმაც მათგან გადმოიღო მისი ხმარება თუშური ქუდის სახელწოდებით. წარსული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ბრძოლის სულ სხვანაირი ხერხები შემოვიდა, ტალიანი თოფები ავტომატებმა შეცვალა. ხმლებითაც აღარ იბრძოდნენ. ჩაჩქანი ამიტომ ხმარებიდან გამოვიდა, თუშური ქუდი კი შეგვჩაჩქარავს სამხედრო სამკაულის ერთგვარი ნიმუში.



# ბრ ჩამოვრჩეთ

სოფლებში თუ ქალაქებში  
მხნეობს, იბრძვის შრომის ჯარი:  
სოცსმეჯობის და დამკვირვლობის  
უფელამ მძურად მისცა მხარი.

ჩვენც ჩაგებათ ამ ფერსულში,  
არ ჩამოვრჩეთ სხვებს წინსვლაში  
და სწავლაში ზირველობით  
ვასანყლოთ მთელი კლასი!



## ჭაეროქლანი სოფელში

### საზრგო ქაღახი

თითქოს ნავარდით გაჰკვეთა,  
ლაფვარდოვანი სივრცე,  
მიაპობს ჭაერს გრიალით,  
მიქუხს და მიღის ისე.

გადმოუარა ჩვენს ეზოს,  
მინდვრებს და მწვანე ბაღებს...  
აბა გამოდით, ბავშვებო,  
აეროპლანი ნახეთ!

ნახეთ, სულ ახლოს ჩამოდის,  
მწკრივში ჩამდგარან სხვებიც,  
ხმაურმა შესძრა სოფელი  
და იხმო გაღმა მთები.

შესძრეს გარშემო სერები  
და გრიალებენ ერთხმად;  
უცებ ქალაღლის ფურცლები  
გადმოგვაყარეს თეთრად.

ვიქერდით ფურცლებს მაღიმაღ,  
ქარი გვტაცებდა ისევ...  
ცის არწივები გაგვშორდნენ;  
ამოფარებნ ნისლეზს.

ჩვენც მივძახოდით სიცილით:  
„ვისწავლით თქვენებრ ნავარდს,  
რომ გავიზრდებით, უშიშრად  
ცაში მტრის რისხავად ავალთ!“

ფურცლებს შრიალი გაჰქონდა  
და კითხულობდა ყველა:  
„ვაშა, ხაღბისთვის საყვარელს  
სტალინს, ბრძენსა და ბეღაღს!“

„სალამი წითელფლოტელებს!“  
მეც წავიკითხე ასე;  
ქალაღლებს ვშლიდით, კისკისი  
გვეფინებოდა ბავშვებს;  
ხმაურს თან კოცნას ვატანდით  
გულთ ხაღბისთ სავსეს.



# სიღარიბე



1



ქვენ, ყმაწვილებო, სიღარიბე არ გინახავთ შინდა გაგაცნოთ, როგორი იყო იგი და რა დამართა მას. თუ ხატვა იცით, დახატეთ, რომ უკეთ წარმოიდგინოთ.

წარმოიდგინეთ ჩონჩხივით გამხდარი არც თუ ადამიანი, არც თუ ურჩხული. თვალები ჩაცვივნილი, კბილები ხანჯალივით გრძელი და ბასრი. ხელები გრძელი. ის ხელები ვაზივით ილუნებოდა. შემოეხვეოდა კაცს და არ მოეშვებოდა. ერთი საოკარი თვისებაც ჰქონდა იმ ხელებს: დაგრძელება შეეძლო. ისე დაგრძელდებოდა, რომ კაცს შორ მანძილზეც მისწვდებოდა. მდინარეზე რომ გასულაყავი, ნაპირიდან ნაპირზე მიგწვდებოდა ის ხელები. ხელები კი ორი როდი ჰქონდა სიღარიბეს, ცხრა მარცხენა და ცხრა მარჯვენა ჰქონდა, ცხრასაენიანი ნაბიჯი ჰქონდა, ვერ გაეჭკვიოდა. ბნჭური იყო სიღარიბე, მუდამ ქუჭკიანი და გამურული დაიღოდა. ისე ფეხაკრფვით დადიოდა, რომ ვერც კი გაიგებდი, როგორ შემოგივიდოდა სახლში და გაგიშინაურდებოდა.

მარტო როდი უყვარდა სიარული, დიდი ამაღა ჰყავდა: კოლო, ბაყაყი, ციება, ჭინკა, შიში და კენესა. აბა, ასეთი იყო სიღარიბე.

შეჩვევა იცოდა. შეეჩვეოდა რომელიმე ღარიბი გლეხის ოჯახს, ამოუწოვდა ტვინს, ამოუჭამდა გულს და ეწვეოდა სხვას. ასე დადიოდა კარდაკარ. ღარიბი ვერაფერს დააკლებდა. ჭონი არ უყვარდა და მდიდრებს ერიდებოდა. მდიდრებშიც ყურადღებას არ აქცევდნენ: ჩვენ არ გვაწუხებს და რაც უნდა, ისა ჰქნასო.

უცნაური ჩვეულება ჰქონდა სიღარიბეს; თვალს არ ხუჭავდა. სანამ თვალი ღია ჰქონდა, გამჭვირვალე იყო და ვერაფერს დინახავდა ხელშესახებად, მაგრამ როგორც კი თვალს დახუ-

ჭავდა, მაშინვე საჩინარი ხდებოდა. მაშინ დაესოვდნენ მას ღარიბები კეტებით და ერეკებოდნენ შინიდან. ამიტომ სიღარიბე ცდილობდა არასოდეს დაეხუჭა თვალი. იშვიათად თუ დახუჭავდა თვალს და ისიც მაშინ, როცა გამოძლებოდა. მაგრამ სიღარიბეს რა გამოაძლებდა...

როცა სოფელს გამოლევდა, ტყესა და მინდორში გავიღოდა. სოკოსა, მატალოსა და ბაღასაც კი მიირთმევდა. ისე განურჩევლად ჰამდა, რომ ხანდახან ძილის გულსაც კი ჩაულაპავდა. აი, როდის დახუჭავდა თვალს და დაიძინებდა... ძილის დროს ნახევარი ამაღა თავზე დაადგებოდა. კოლო ნანას უმღერდა, ბაყაყი მარაოს უქნევდა, ჭინკა ფეხის გულს უფხანდა. ნახევარი ამაღა კი: ციება, შიში და კენესა, იძინებდა. მხოლოდ კოლოს, ბაყაყსა და ჭინკას არ შეეძლოთ ძილი.

აი, მაშინ ეშველებოდათ ხოლმე ღარიბებსა. იმ წელს მოსავალს დანარჩუნებდნენ, წაქცეულ ოჯახს ცალ ფეხზე მიიწე წამოაყენებდნენ. მაგრამ სიღარიბე როცა გაიღვიძებდა, კიდევ შეძრებოდა ღარიბისას, კვლავ აიკლებდა მის ოჯახს.

აი, როგორი იყო სიღარიბე.

დიდხანს ითარეშა კოლხიდაში სიღარიბემ. ჰაუ, რა დიდხანს! ბოლოს, სწორედ იმ წელიწადს, როდესაც ჭაობის ამოშრობა დაიწყეს, სიღარიბეს ძილის გულა ჩაწყვა პირში და დაეძინა.

2



ინ იცის, რამდენ ხანს იძინებდა სიღარიბე, რომ ფეხის გულის ფხანა, კოლოს ნანა და ბაყაყის მარაო მოულოდნელად არ შეწყვეტილიყო.



აი, როგორი იყო სიღარიბე

სიღარიბემ თვალი გაახილა, გაიზმორა. ცხრა და კიდევ ცხრა ხელი ამოივლო წირპლიან თვალებში და მიიხედ-მოიხედა. ამაღა არსად იყო. სიღარიბემ იფიქრა, ალბათ კიდევ მძინავსა და ხანჯალივით გრძელი კბილები მკლავს დააქირა. ეტყინა.

— მაშასადამე, არ მძინავს,— ჩილაპარაკა სიღარიბემ და წამოდგა.— რა შიშა საქმე?

კისერი დაიგრძელა, არემარეს დააკერდა. არემარე კი ძალზე ესხვაფერა.

აი, აჰ, სადაც სიღარიბე ჩაწვა, ქაობი იყო. ახლა კი მიწა გაჩენილა. ახალი მიწა. ახალ მიწაზე ახალი სტუმრები დასახლებულან. მწვანე ფერისა, ქაოზრა, დინჯი. მათ ოქროსავით ყვი-თელი ნაყოფი ესხათ და საამური სუნი უდიოდათ.

გაახსენდა სიღარიბეს: წინათ, სულ წინათ, ასეთი რამ მას მხოლოდ მდიდრებისას უნახავს. რასაკვირველია, მდიდრებისას სიღარიბე არასოდეს ყოფილა, მაგრამ ფანჯარაში რომ შეუხედავს, მაშინ უნახავს. მაშინ გუფვია სიღარიბეს, რომ ეს ოქროსფერი სტუმრები შორი ჭვეყნებიდან იყენენ. ზოგს ლომონი ერჭვა, ზოგს მან-დარინი, ზოგს ფორთოხალი. სიღარიბეს მათი გემო არასოდეს უნახავს. მხოლოდ ერთხელ ფანჯრიდან გადმოგდებულ კანს დააქირა კბილები და თქვა:

— ეეებე.. ხე!

მაგრამ რატომ თქვა „ეეებე.. ხე!“ თვითონაც არ იცოდა, აბა, არც თუ ისე ჭკვიანი იყო სიღარიბე.

— საოცარია, — გაიფიქრა სიღარიბემ. უნდა ვკითხო ჩემს კინკას, მან ყველაფერი იცის.

მას უყვარდა კინკა. რაც უნდა მასწავლიდა ყოფილიყო, კინკა მაინც გააკინებდა. ათასი ჯორი და ამაზე იკოდა კინკამ.

— ეი, კინკავ! — დაიძახა სიღარიბემ.

კინკა არსად ჩანდა.

— ეი, კოლოვ! — დაიძახა სიღარიბემ.

სადაც შორს ვაისმა კოლოს წვივლი. დიდხანს უტყადა სიღარიბემ კოლოს. არ მოვიდა კოლო.

— ეი, ბაყაო! — დაიძახა სიღარიბემ.

სადაც შორს ვაისმა ბაყაის ყუიანი. დიდხანს უტყადა სიღარიბემ ბაყას, არ მოვიდა ბაყაი. არც ციება, არც შიში, არც კენესა ჩანდა.

— სად გაიფანტენენ? — გაბრაზდა სიღარიბე.

— მე რომ შიშა, არ იცინა?

სიღარიბემ გაბრაზებაც იცოდა.

— თქვენ, ეი, სად ხართ?

არავინ ჩანდა. მთელი ამაღა გაკრფილიყო.

— ალბათ, ჩემს ულუფას მიირთმევენ, — გაიფიქრა სიღარიბემ. — მე ვაჩვენებ მაგათ სეირს! ძაღლის კუდივით მოვლუნავ ყველას. წავიდე სოფელში!

წავიდა. შორს როდი წასულა, სოფელიც იქვე იყო. სიღარიბესაც ხომ სოფლის პირას ეძინა.

შევიდა სოფელში. ვერ იცნო სოფელი. არავის შეეშინდა მისი. ვერც ციებიანი ზავშეები ნახა, არც კენესა ისმოდა.

— ჰმ... ეგებ სხვა სოფელში შევიდე? —

თქვა სიღარიბემ. — რამ გამოცვალა ასე სოფელი? ეგებ სხვა ჭვეყანაა? რატომ არავის ეშინია ჩემი? ამაღა რომ არ მომდესკ, იმიტომ თუ? საოცარია!

მიდის სიღარიბე და უცერის: ხეებიც კი გამოცვლილა. სად იყო ძველად ასეთი ბუკვილა ხეები? ან სადაა ძველი ქოხები? აი, ეს ეზო პავლე სართანაის ეზო არაა? მაგრამ ასეთი ოდა რომ არ ედგა პავლეს? პავლეს კი კარგად იცნობდა სიღარიბე. ერთი საწყალი ქოხი ედგა, ერთი კოჭლი ძაღლი ჰყავდა და ერთიც ცალკეიანი ძროხა.

სიღარიბე პავლეს ჭიშკარს მიადგა. აი თვითონ პავლეს. აივანზე დამჯდარა და ფეხი ფეხზე შემოუღვია.

გაბრაზდა სიღარიბე. წინათ, სიღარიბე რომ ჰქონდა მოადგებოდა, შიშით გაფითრებულ პავლეს ცახცახი აუვიარდებოდა. ახლა კი სრულიად არ ეშინოდა პავლეს.

— მე შენ გიჩვენებ სერს! — წამოიძახა სიღარიბემ, უნდოდა ხელეები დაეგრძელებინა და კისერში სწედომოდა პავლეს, მაგრამ ვერც კი გაანძრია ხელეები. გრძელი, ქვანაირი ხელეები დამოკლებოდა.

აბა აქეთ მობრუნდა სიღარიბე, აბა იქით, მაგრამ ცხრა მარჯვენაში და ცხრა მარცხენაში არც ერთი არ ხელობდა.

— მე შენ გიჩვენებ სერს! — ისევ წამოიძახა სიღარიბემ და მივიარდა ჰქონდა. ვერ გაალო. უნდოდა ღობეზე გადაბიჯებია, — მაღალი იყო ღობე, ისეთი მაღალი, რომ სიღარიბემ ვერ გადაბიჯა.

გახელდა სიღარიბე. აქეთ ეცა, იქით ეცა, ვერ შეძერა ეზოში.

სიღარიბე ჯიუტი იყო. საღამომდე იტრიალა ღობის ძირას. ბოლოს ზედმა გაუღიმა: სტუმრები მიადგნენ პავლეს ჰქონდა. პავლემ ეზო გაიბრინა და თავაზიანად ვალო ჰქონდა, სიღარიბემ აირჩია ერთი მოკვიდე ზარმაცი სტუმარი, ამოედარა მის და გაძვრა ეზოში. სახლში შესვლა ვერ შეხედა, გაჩერდა კიბეზე და შეთავაზიერა ოდა.

ჰმ, რა ოდა წამოუჭივს პავლეს! ან როგორ მოურთავს ოთახებში! ეს რა არის? პავლეს კოლმა, აღათიმ, რაღაც კოლოფი გამოიტანა და ამღერა.

ჰაი, ჰაი, როგორ მღერის ეს კოლოფი! კოლოფი კი არა, თითქოს თავად პავლე მღერისო.

სიღარიბემ ახლა მეორე ოთახში შეიხედა და პირზე ნერწყვი მოადგა; სტუმრები შემოსდომოდნენ ვაშლილ სუფრას. რა გინდა სულო და გულო, იმ სუფრაზე რომ არ იყო! აი, პიონერმა გოგონამ კოროკომ მანდარინითა და ფორთოხლით საესე სინი შემოიტანა და სუფრაზე დადგა.

პავლემ თასი აიღო და თქვა:

— ძებო და ამხანაგებო! ეს გაუმარჯოს იმ ადამიანს, რომელმაც ჰაობი ამოგვიშრო, ნაქობაბარში მაღალი ოდა დაგვიდგა, ბაღებში ფო-



რთობალი მოგვიტანა და სიღარიბე მოგვაშროა! გახსოვთ საძაველი სიღარიბე? ან მისი ამაღო?

— როგორ არ გეხსოვს! — აყვირდნენ სტუმრები. — ჰატ, მაგის რჯული!

სიღარიბეს შეეშინდა, ვითუ დამინახონო და გააერგოლა.

თქვენ, ყმაწვილებო, ალბათ იცით, კაცს რომ გააერგოლებს, თვალს დახუჭავს.

დახუჭე თვალი სიღარიბემაც და გამოჩნდა ზღ კიბეზე.

— ჰატ, მაგის რჯული! — წამოიძახა პავლემ და ესროლა ფორთოხალი.

სიღარიბეს ფორთოხალი შიგ გულში მოხვდა. სიღარიბემ დაიკივლა და დაპატარავდა. ისე დაპატარავდა, რომ ქინძის ტოლა გახდა.

პიონერ კოროკოს უნდოდა სიღარიბე ენახა: დაეხატა და ამხანაგებს გაჩვენებო, იმათაც არ უნახავთო. მაგრამ ამ დროს დაჭკროლა ჰარბა და სიღარიბე შორს, შორს ქვეყანაში წაიღო.

აი, ყმაწვილებო, როგორი იყო სიღარიბე და რა დაემართა მას. ამიტომ ვერ ნახავთ თქვენ მას, ნურც გენახათ, ამით არა დაგაკლდებთ რა.

გულში კოლხიდაში ვიყავი,

დღეს აქ მოველი.

სამი ვაშლი, სამი ბროწეული,

გაისათ კიდევ თქვენსას მოწვეული.





ლ. მესხიშვილი



კ. მარჯანიშვილი

# ქუთაისის თეატრი

ნიკოლო ნაბრეილი

რამდენიმე ათეული წლის წინ ქუთაისში მეტად უფერული ცხოვრება იყო.

მაშინ არც თეატრი და არც კლუბი არ ჰქონდა ქალაქს. ხალხს ვასართობი უნდოდა.

ასეთი მდგომარეობით შეწუხებული ხალხი მოითხოვდა თეატრის აგებას.

და აი, საზოგადოების ამ სურვილს სათავეში ჩაუდგნენ მოწინავე ადამიანები. ჩვენი დიდი პოეტი, იმ დროისათვის უკვე სახელგანთქმული, აკაკი წერეთელი დაუღალავად მუშაობდა თეატრის შექმნისათვის.

როგორც ეჩნა, 1880 წელს, ესე იგი, სამოცი წლის წინ, აშენდა თეატრის შენობა. ეს იყო ზაფხულში. ზაფხულშივე, ოცდაათ ივნისს, ახალ შენობაში ნაჩვენები ეჩნა პირველი წარმოდგენა „მშის დაბნელება საქართველოში“.

სალამოს დიდძალმა ხალხმა მოიყარა აქ თავი. შემდეგ დადიოდნენ მსაყურებლები ნახულობდნენ წარმოდგენებს. მაგრამ ზოგჯერ ერთი უბედურება ატყდებოდა ხოლმე თეატრში: გაავდარდებოდა თუ არა, წამოვიდოდა თუ არა შხაპუნა წვიმა, თეატრის დარბაზშიც წვეთდა წყალი. ტყაპ... ტყაპ... ტყაპ... ისმოდა წარმოდგენის დროს. ზოგი მშრალ ადგილს მონახავდა, ზოგი წინასწარ მომზადებული ქოლგას გაშლიდა და სპექტაკლს მაინც უუკურებდა.

ასე იყო მაშინ. ასე იმართებოდა ზოგჯერ წარმოდგენები.

სახელგანთქმული პოეტი აკაკი წერეთელი დიდ მზრუნველობას იჩენდა ქუთაისის თეატრისადმი. მართალია, მან ცოტა ხნის შემდეგ, აუცილებელი საქმეების გამო, დატოვა ქალაქი, მაგრამ 1881 წელს კვლავ დაბრუნდა უკან. ამის შესახებ ვახეთი „დროება“ კმაყოფილებით წერდა:

„ქუთაისის ისევ დაუბრუნდა მისი აკაკი. ხანგრძლივი იქნება თუ არა გამოჩენილი პოეტის აქ ყოფნა, — ამაზედ ნამდვილს ვერას მოგახსენებთ, მაგრამ საშვილისშვილო საქმეს — თეატრს რომ სახუმროდ არ მოჰკიდა ხელი და კიდევ მკვიდრ ნიადაგზე დააყენებს მას, ამას ყველა ხედის და ყველა შეშხარის“.

სასიქაღლეო პოეტმა მართლაც რომ დიდი მუშაობა გასწია. მან შექმნა მშვენიერი თეატრი, რომელიც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იყო მიმართული.

სცენიდანვე ისმოდა ლაპარაკი სწორი ქართულით, ეს კი ხელს უწყობდა ენის განვითარებას, მეტყველების განვითარებას.

ამგვარი ხაზი თეატრმა შემდეგაც გააგრძელა, მაშინაც, როცა იქ უკვე აღარ იყო სახელოვანი პოეტი. მაგრამ თეატრს მაინც მოწინავე ადამიანები ხელმძღვანელობდნენ. 1885 წლიდან მას სათავეში ჩაუდგა შესანიშნავი მსახიობი კოტე მესხი.

ქუთაისის თეატრის ამ დაუღალავმა მოამბემ თავის გარშემო შემოიკრიბა ფრიალ ნიჭიერი მსახიობები; ნატა გაბუნია, ვასო ბაშშიძე, ლაღო მესხიშვილი, კოტე ყიფიანი და სხვები. მშვენიერი დასის მეშვეობით თეატრი შესანიშნავ წარმოდგენებს უჩვენებდა მსაყურებლებს. მაგრამ ზოგჯერ აქ ერთგვარი ამბავიც ხდებოდა. მაგალითად, იყო შემთხვევები, როცა მსახიობები იმ ტანისამოსით გამოდიოდნენ სცენაზე, რომელიც შინ ეცვათ. ასეთი ამბავი აღწერილია ერთ წერილში:

„ეფემია კლდიაშვილისამ კეთილსინდისიერად შესარულა როლი, მაგრამ სახე გამოაცვლილი არა ჰქონდა (გრძობიროვკა), და იმავე კაბით და ლენტის სარტყელით იყო სცენაზე, რომლითაც ქალაქში დიღით დაიარებოდა“.

ეს კი სიღარიბის შედეგი იყო. მთავრობა არ უწყევდა თეატრს დახმარებას.

თეატრში ბევრი ისეთი მსახიობი მოღვაწეობდა, რომელთა სახელი არა მარტო ქუთაისში იყო განთქმული, არა მარტო საქართველოში იყო განთქმული, არამედ სხვაგანაც. აქ ყველაზე პირველად აღსანიშნავია ქართული სცენის მშენებელი და სიამაყე ლადო მესხიშვილი.

ცხრაასიან წლებში სწორედ ეს ბუმბერაზი ჩაუღდა სათავეში ქუთაისის თეატრს. ამ დროიდან სულ ახალი ხანა დაიწყო. ლადოს ხელმძღვანელობით მსახიობები მერტივატეებით თამაშობდნენ, სულ უფროდაუფრო საუცხოო წარმოდგენას ნახულობდა მყურებელი. ხშირად ლადო მესხიშვილი გამოდიოდა სცენაზე და წარმოთქვამდა მგზნებარე რევოლუციური სიტყვებს. ხალხი აღფრთოვანებული იყო. წარმოდგენის შემდეგ თეატრიდან რევოლუციური სიმღერებით გამოდიოდნენ.

ლადო მესხიშვილმა მყურებლებს სულ ახალი სულისკვეთება ჩაუწერა. ჩაუწერა უსამართლობისადმი უსაზღვრო ზიზღი. მყურებლები უკვე კარგად არჩევდნენ თეთრსა და შავს.

ერთხელ, 1901 წელს, ქუთაისში ვიღაც გასტროლიორები ჩამოვიდნენ. ხუთ მაისს თეატრში მათ დადგეს ანტისემიტური პიესა „შვილი ისრაილისა“. წარმოდგენას აუარებელი მყურებელი დაესწრო. ყველანი გაფაციცებით აღევნებდნენ თეატრის მსახიობთა მიხერა-მოხერას, დაკვირვებით იმსენდნენ ყოველ სიტყვას.

პირველი მოქმედება თითქმის კიდევ მოეწონათ. მაგრამ შემდეგ მიხვდნენ, რომ პიესა ანტისემიტური იყო. ატყდა ხმაური, ერთი ამბავი. წარმოდგენა ჩაიშალა. ხალხი გვიდა ქუჩებში, მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია გაიმართა.

კარგად მუშაობდა თეატრი შემდეგაც. იგი აგვიძღვრდა მესხიშვილის ხაზს. მაგრამ მენშევიკების ბატონობის დროს მდგომარეობა შეიცვალა, თეატრი დაშლის კარამდე მივიდა.

1921 წელს საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ამ დროიდან თეატრს დიდი ყურადღება მიექცა. 1922 წელს ქუთაისში ჩავიდა სცენის დიდი ოსტატი კოტე მარჯანიშვილი. იმავე წლის 25 ნოემბერს იქ მან დადგა საუცხოო სპექტაკლი „ცხერის წყარო“. დაიწყო სულ ახალი ხანა.



ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორი და სახმატრო ნაწილის ხელმძღვანელი რესპუბლიკის სახალხო არტისტი დო დო ა ნ თ ა ძ ე

მთელ საბჭოთა კავშირში სახელგანთქმული ოსტატი კოტე მარჯანიშვილი შემდეგ წლებშიაც მუშაობდა ქუთაისის თეატრში, მან მერტად იშვიათი, ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერა ქართული თეატრის ისტორიაში.

ორი წელია ქუთაისის თეატრს ხელმძღვანელობს კოტე მარჯანიშვილის ნიჭიერი მოწაფე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დო დო ანთაძე. აქ მუშაობენ ისეთი ცნობილი მსახიობები, როგორც არიან: ა. იმედაშვილი, ი. ზარდალიშვილი, ე. ამირაჯიბი, ა. მურუსიძე, შ. ზონელი და სხვები.

ამ უკანასკნელ წლებში ქუთაისელმა მყურებლებმა ნახეს მშენიერი სპექტაკლები: „ოტელიო“, „ნაპერწყლიდან“, „გმირთა თაობა“ და სხვები.

ქუთაისის თეატრი ნორჩ მყურებელსაც არ ივიწყებდა. ის ბავშვებისათვის აწყობდა დღის წარმოდგენებს, არჩევდა შესაფერის სპექტაკლებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ბოლო დროს დადგმული საბავშვო წარმოდგენა „კომბლე“. ნორჩ მყურებლებს ძალიან მოსწონთ ეს მშენიერი სპექტაკლი.

მომავალში თეატრი კიდევ უფრო კარგად წარმართავს მუშაობას.

# აკაკი ნურეთუძე

(მოგონება)

დასავლეთ საქართველოში, ხონში, იყო ერთი სასწავლებელი, რომელსაც საოსტატო, ანუ სამასწავლებლო, სემინარია ერქვა. ასეთი სასწავლებელი მთელს კავკასიაში სულ ოთხი იყო: ხონში, გორში, ერევანში, ვლადიკავკასში (ახლანდელი ორჯონიკიძე). სემინარია სოფლის სკოლებისათვის ამზადებდა მასწავლებლებს. მოსწავლე ახალგაზრდობის უმრავლესობა საზოგადოების „დაბალი“ ფენიდან იყო, ამიტომაც სემინარიელები შეგნებულად თანუგრძობდნენ თავიანთი მამების — მუშებისა და გლეხების — რევოლუციონურ მოძრაობას. საოსტატო სემინარიაში საკმაოდ ხშირი იყო მეფის საწინააღმდეგო ფარული კრებები, გაფიცვები და „ბუნტები“.

1904 წელს სემინარიელებმა მოკვლის მიზნით ქვები დაუშინეს სემინარიის შავრაზმელ დირექტორ ლევიცკის. დირექტორი გაიქცა. 1905 წლის რევოლუციის გარიჟრაჟმა იძულებული გახადა მთავრობა ხონის სემინარიის დირექტორად წესიერი ადამიანი გამოეგზავნა.

დირექტორად დანიშნეს იმ დროს კარგად ცნობილი ქართველი პედაგოგი ალექსი ჭიჭინაძე.

ალექსი ჭიჭინაძემ აკაკი წერეთელი 1909 წელს სემინარიას ასტუმრა. აკაკიმ მოისურვა მომავალი მასწავლებლების გაკვეთილებზე დასწრება.

სემინარიასთან არსებობდა ორკლასიანი სასწავლებელი, ამ სასწავლებელში, ანუ, როგორც მაშინ ეძახდნენ, პატარა სემინარიაში, დიდი სემინარიელები გამოცდილი მასწავლებლების ხელმძღვანელობით ვვარჯიშობდით გაკვეთილის გა-

დაცემაში, ვასწავლიდით პატარა სემინარიელებს, ყოველდღე „სანიმუშო“ გაკვეთილებს ვაძლევდით და ვვოსტატებოდით. აი ამ სანიმუშო გაკვეთილებზე დასწრება მოისურვა აკაკი წერეთელმა.

ჩვენმა დირექტორმა, ალექსი ჭიჭინაძემ, მე და ჩემი ამხანაგი ილია გოგია წინააღმდეგ ვავაფრთხილა: ხეალ თქვენ გაკვეთილი უნდა გადასცეთ, გაკვეთილებზე აკაკი წერეთელი დაგესწრებათ და კარგად მოეშადეთო.

მთელი ღამე არ გვიძინია, სიხარულით იყო ეს, შიშით თუ შორიდებით. გათენდა დილა. სემინარიაში შემოვიდა საქართველოს ბულბული, მეოსანი აკაკი წერეთელი.

აკაკი იყო მაღალი, ახოვანი, ღამაში კაცი, შავი პიჯაკი და შარვალი ეცვა, შლიაპა ხელოში ეჭირა, თავზე დიდი თმა ჰქონდა, გულზე თეთრი წვერი ეყარა, თვალთაგან ეცხლის ნაპერწკალი გადმოდიოდა, ბუმბერაზ მთასავით იღვპო, მალა იხედებოდა და იღიმებოდა...

გაკვეთილის დაწყების ზარი მისცეს, ჩვენმა გულმაც ზარივით დაიწყო ცემა. შევედი კლასში, შემობრძანდა აკაკი წერეთელი და მთელი მისი ამაღლა.

ორი განყოფილებსათვის (მეოთხე და მეხუთე) ერთდროულად უნდა მესწავლებინა. ერთისათვის — აკაკის ლექსი, ხოლო მეორისათვის — ილია ჭავჭავაძის ლექსები.

უნდა გამოვტყდე: ორი-სამი წუთი ბავშვების ყურადღება ვერ მივიპყარი: ყველას ჩუმაღ ამოელო ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“, გადაეშალა წიგნში ის გვერდი, რომელზედაც აკაკი წე-



რეთელი იყო დახატული, და თვითუ-  
ლი იმათგანი ხან აკაკის სურათს დახე-  
დავდა და ხან აკაკის შეხედავდა.

იქულებული ვიყავი ბავშვებისათვის  
მეჩვენებინა „ცხელი თვალი“, რომ ისი-  
ნი გამოშვებობდნენ იმ წუთში მათ-  
თვის უფრო სასიამოვნო საქმეს (აკაკის  
ცქერას) და ყურადღება გაკვეთილისათ-  
ვის მიექციათ.

გაკვეთილი გადავეცი. ჩემი პაწია მსმე-  
ნელების ერთ განყოფილებას ვერაგულად  
მოკლული დიდი ილია ჰკვებავდა მოვა-  
გონე და მისი „აყვავებულა მდგლო, აყ-  
ვავებულა მთები“ ვასწავლე, მეორე გან-  
ყოფილებას აკაკი „გავაცანი“ და მისი  
ლექსი ვასწავლე.

ილია გოგამაც გადასცა გაკვეთი-  
ლი.

აკაკის გაკვეთილები მოეწონა, გადა-  
გვხვია ორთავეს და გვითხრა: „გულში  
დამწყვიტე, ყმაწვილებო, ჩემს დროში სად  
იყო ასეთი კარგი გაკვეთილები, გმად-  
ლობთ სიამოვნებისათვის, დიდად გმად-  
ლობთ! აბა, თქვენ იცით, როგორც ემ-  
სახურებით ჩვენს ტანჯულ საქართვე-  
ლოს!“

ჯერ მალლა აიხედა, თითქოს ცრემ-  
ლი მოერია, შემდეგ ხელმეორედ გადა-  
გვკოცნა და ოთახიდან გავიდა, სემინა-  
რიიდან წავიდა.. მას გაჰყვა ჩვენი გული  
და სიყვარული...



## პიკველი სპილოები ჩსსეთში

დაახლოებით ოთხასი წლის წინათ  
მეფე ივანე შრისხანემ ირანის შახისაგან  
სპილო მიიღო. ეს იყო პირველი სპილო,  
რომელიც რუსეთში მოხვდა. საოცარმა  
ზღვისიქითა ცხოველმა საერთო განცეი-  
ფრება გამოიწვია. როცა სპილო ქუჩაში  
გამოჩნდებოდა, უკან ყოველთვის ბრბო  
მისდევდა.

სპილოს უვლიდა ზანგი-მწვრთნელი.  
მას ძლიერ უყვარდა თავისი ოთხფეხა  
თანამგზავრი. მაგრამ აი ერთხელ ვილა-  
ცამ ხმა დაავლო, თითქოს იმ დროს მო-  
სკოვში გავრცელებული შავი ქირი ზა-  
ნგმა შემოიტანა. ზანგი თავისი სპილოთი  
ქალაქიდან გადაასახლეს. მალე მწვრთ-  
ნელი გარდაიცვალა და, როგორც ურწმუნ-  
ო, ეკლესიური წესის გარეშე დამარხეს  
იქვე ფარდულის გვერდში. სპილომ დაამტ-  
ვრია ფარდულის კარები და ახალ სასაფლაო-  
ზე დაწვა, რამდენიმე დღის განმავლო-  
ბაში არავის უშვებდა თავისთან და არც  
სქამდა რამეს.

გაუნათლებელმა ხალხმა გადაწყვიტა,  
რომ სპილოს უწმინდური ძალა დაეუფლა.  
ამის შესახებ მოახსენეს მეფეს და მისი-  
ბრძანებით სპილო მოკლეს.

ამ ამბის შემდეგ გაიარა 150 წ. და  
1714 წ. რუსეთში მეორე სპილო მოიყვა-  
ნეს. ის ასტრახანზე გამოატარეს. მოსახ-  
ლეობა განცვიფრებული იყო უზარმაზარი  
ცხოველით, მრავალრიცხოვანმა ბრბომ  
ორმოც კილომეტრზე გააცილა იგი.

პეტერბურგში სპილოს ზემოთ შეხვ-  
დნენ. აქ უჩვეულო სტუმარს ტარსი-  
კონის ფეხსაცმელი ჩააცვეს.

აღფრთხვანებული ხალხი დედაქალა-  
ქის ყოველი კუთხიდან მოდიოდა სპი-  
ლოს სანახავად.

შემდეგში, როცა სპილო სასეირნოდ  
გამოჰყავდათ, გათამამებული ხალხი ჯო-  
ხებსა და ქვებს ესროდა, ძაღლებს უტე-  
ვდნენ და ვინ იცის კიდევ რით არ აღი-  
ზიანებდნენ. ამის გამო ბრძანებულგბაც  
გამოსცეს: „ცხადდება მცხოვრებლების  
საყურადღებოდ, არ შეუშალონ ხელი  
მესპილოვეს როცა მას სპილო გამოჰყავს“.

სპილოს ულუფა შედგებოდა ლერ-  
წმისა, ბურღულისა, პურის ფქვილისა,  
შაქრისა და სხვა პროდუქტებისაგან.  
სპილოს ყოველწლიურად ეძლეოდა ორ-  
მოცი ვედრო ღვინო და სამოცი ვედრო  
არაყი.

შ-01-0

ახალი წიგნები, — „ფრიალოსნები“, საბლიტვაში, 1940 წელი.

პოეტი არხო ონელი ქართულ საბავშვო მწერლობაში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. არც თუ იშვიათად შეგხვდებით საყმაწვილო ჟურნალებში მის მშვენიერ ლექსებს. ნორჩ მკითხველებს მოსწონთ ეს ლექსები და ხშირად ზეპირადაც სწავლობენ მათ.

რით აღწევს არხო ონელი მას?

უშთავრესად იმით, რომ პოეტს ეხერხება თემების მოძებნა და ამ საინტერესო საკითხებზე წერა საინტერესოდ, პატარებისათვის გასაგები, მარტივი ენით. ზოგიერთი ლექსი ისე მოხდენილია და დაწერილი, რომ ბავშვი მას აღვივლად ისწავლის და დიდხანსაც დარჩება მის მეხსიერებაში.

ახლახან საბლიტვაში გამოსცა პოეტის წიგნი „ფრიალოსნები“. წიგნში უშთავრესად მოთავსებულია ამ უკანასკნელ წლებში დაწერილი ლექსები.

გადავლით ფურცლებს თუ არა, პირველ მგორზე შეგხვდებით პატარა ლექსი „ფრიალოსნები“. აქ სულ მოკლედ ლაპარაკია იმაზე, რომ ერთ მშვენიერ დილას რეზო და თამარი სკოლისაკენ მიდიან. ბავშვები მხიარულად მიაბიჯებენ, ტკბილად მისაუბრობენ. მაგრამ უფრო გასახარებელი ის არის, რომ:

„ისინი ფრიალოსნები,  
სწავლის გმირები არიან,  
მიდიან, მიიმტვრიან,  
უხმობს მათ სკოლის ზარია“.

მეორე ლექსიც „სკოლისაკენ“ კვლავ სწავლის თემაზეა, ზაფხულში მოსწავლე სოფლად ისვენებს, იქ კარგად ერთობა, მაგრამ წიგნსაც არ ივიწყებს, კითხულობს, მეცადინეობს, ფიქრობს სექტემბერზე, სწავლის დაწყებაზე.

ლექსში „თქვენ რას იტყვით?“ გამოყვანილია ორი ოქტომბრელი — ზარმაცი

და ბეჯითი. ზარმაცი ოქტომბრელი ზურა სკოლაში ზანტად, უხალისოდ მიდის. ეს იმიტომ, რომ გაკვეთილები არ იცის. წინაღობით მთელი დღე იტულუტა ბაღში. მერე დედამ წაიყვანა შინ ძალით. აი, ამ დღით კი ასე უგუნებოდ მიდის სკოლისაკენ. მაგრამ ცულუტობას მაინც არ იშლის. სკოლისაკენ მიმავალი ხეზე ჩიტებს მოჰკრავს თვალს. ჩიტუნებს დაუშენს ქვევს და... ჩამტვრევს მეზობლების ფანჯრის მინებს. სკოლაში კი გვიან მივა.

ბეჯითი ოქტომბრელი გივი კი ადრე დგება დღით, იბანს პირს, მერე ერთხელ კიდევ გადაიკითხავს გუშინვე მომზადებულ გაკვეთილებს, ისაუზმებს, ცოტასაც გაისეირნებს და მიდის სკოლაში. იგი ფრიალოსანია სწავლაში, კარგი ბიჭია. ამიტომ უყვართ გივი. ავტორი ბოლოს ამბობს: „ასეთ საქმეს ეტრფის ყველა თავმომწონე ოქტომბრელი“.

ეკვი არ არის, როცა პატარები ამ ლექსს წაიკითხავენ, კარგად ჩაფიქრდებიან. ზურასთანა ზარმაციები კიდევ გაწითლდებიან და შეეცდებიან გამოსწორებას, ფრიალოსან, თავმომწონე ოქტომბრელად გახდომას.

ბევრი კარგი და საინტერესო ლექსია ამ წიგნში მოთავსებული: „ოქტომბრელი გოგონა ბელადთან“, „სიმღერა სამშობლოზე“, „მამისი“, „უბედური მელია“, „პირველი თვითმფრინავი მთაში“ და სხვა.

ლექსების უმრავლესობაში არის მოკლე, საინტერესო სუჟეტი, ეს კი დიდი ღირსებაა საბავშვო ნაწარმოებისათვის.

აქვე უნდა ვთქვათ წიგნის გაფორმების შესახებ. მასში არ არის არცერთი სურათი, კარგი კი იქნებოდა ნორჩი მკითხველისათვის მიგვეცა დასურათებული წიგნი.

ა. ალაშაძე



# ძუნღი ბაყაყი

იყო ერთი ბაყაყი. ერთხელ ის გამოვიდა თავისი სახლიდან—მრგვალი ტბიდან—და სკუპ-სკუპით წავიდა სასეირნოდ. სკუპ-სკუპ—და სახლის გზა დაეკარგა.

აქ კიდევ, საუბედუროდ, მოხვდა ჭიანჭველები ბილიჭხე. ათობით ჭიანჭველები შეესივნენ ზურგზე, ასობით მიეწებნენ მუცელზე.

—ოი!—ატირდა ბაყაყი.—აი! როგორ არა გრცხვენიათ, გზააბნეულს კბენთ, შშიერს სისხლსა სწოვთ!

ჭიანჭველებს ძალიან შერცხვათ. დაბლა დაუკრეს თავი ბაყაყს და ეუბნებოან;

—პატივცემულო ბაყაყო! მობრძანდით ჩვენთან სტუმრად: ჩვენი საქმელის მისართმევად, თაფლის დასალევეად.

ბაყაყი დათანხმდა. რა ჭამა არ ახსოვს, როგორი საუბარი ჰქონდა მაგიდასთან—თვითონაც ვერ გაეგო. რაზე ეძინა—ისიც კი არ იცის, იმდენად ბევრი თაფლი დალია, რომ სულმთლად მიფრალი იყო.

დილით გაეღვიძა და ევეღრება ერთ ჭიანჭველას:

—გეთაყვა, აცოცდი ფოთლებზე, გახედე, რომელ მხარესაა ჩემი სახლი.

ჭიანჭველა აცოცდა ხეზე და ეუბნება:

—აი იქ, დასავლეთით, ბრწყინავს ტბა. ვნებავთ, გაჩვენებთ მოკლე გზას.

—ოჰ, როგორი კეთილი ხარ! გაეხარდა ბაყაყს.—წავიდეთ, წავიდეთ!—მე შენ ამისთვის კარგად გაგიმასპინძლები.

— არა,—უბასუხებს ჭიანჭველა,—მართო ჩემს დაპატიჟებაზე თანახმა არა ვარ. გუშინ ჩვენ ყველამ ერთად გასვით და გაქამეთ. დღეს, თუ გასურთ, ყველა ერთად მიგვიწვიეთ. ჩვენ არც მუშაობა და არც დასვენება ცალკე არ ვიცით.

და ბაყაყმა მიიწვია ყველა ჭიანჭველა სტუმრად. აი, ის სკუპ-სკუპ, ხოლო ჭიანჭველები უკან ჯაჭვად გამბული მისდევენ.

ყველანი, ყველანი, რაც კი იყვნენ ამ საქიანჭველში, იმაშიც, მესამეშიც, მეათეშიც, მეათასეშიც,—ყველა ჭიანჭველა ტყიდან ბაყაყთან სტუმრად მიდის. მივიდნენ ტბასთან, ბაყაყი კი ეუბნება:

— თქვენ, ჭიანჭველებო, აქ მოიცადეთ, მე ახლა წავალ, განკარგულეებას გავცემ თქვენი გამასპინძლების შესახებ. და ტყაპწყალში...

ჭიანჭველები ერთი დღე იცდიან, ორი დღე იცდიან, მაგრამ ბაყაყი არ მოდის. მეშვიდე დღეს გაბრაზდა ჭიანჭველების დღეა.

— ეჰე,—ამბობს.—ბაყაყის დაპატიჟებას უცადე. შიმშილით მოკვდები!

მკიდროდ მოიჭირა სარტყელი და წავიდა შინისაკენ. და ყველა ჭიანჭველამ მოიჭირა სარტყელი და გაემართნენ შინისაკენ.

მას შემდეგ ასე დადიან ჭიანჭველები მოჭერილი სარტყლებით.

ამ შემთხვევის შემდეგ ისინი ვერაზაირად ვეღარ მოსუქდნენ.

# გ ა ზ ა უ ხ ე ლ ი

სიტყვები შიო მლიმიძისა

მუსიკა თ. შავეჩაშვილისა

*Allegretto.*

Canto. გა-ზათ-სყო-და, გა-ზათ-სყო-და! მთა ამჟვან-და

Piano.

შვე-ნი-ე-ხად და ბაი-ში-ას გა-ლი-ფუხჩ-ენ

ყვა-ვი-ლე-ბი მია-ვალ ფე — ხაჲ.

ვის არ უყვარს ნეტავ ეს დრო,  
ვინ არ შესტრფის გაზაფხულსა,

2-ჯერ

მთის და ბარის სულისჩამდგმელს,  
ყმაწვილობის სიხარულსა.